შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება

თბილისი
2025

შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები 3

მუხლი 3. სადოქტორო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განვითარება 3

მუხლი 4. სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა და ხანგრძლივობა 4

მუხლი 5. სწავლების ენა 4

მუხლი 6. პროგრამის ხელმძღვანელი 4

მუხლი 7. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა და შედეგების გასაჩივრება 5

მუხლი 8. ინგლისური ენის გამოცდისაგან გათავისუფლების საფუძვლები 7

მუხლი 9. რეგისტრაცია პროგრამის კომპონენტებზე 8

მუხლი 10. კომპონენტის შეფასება 8

მუხლი 11. კვლევით კომპონენტთან დაკავშირებული პროცედურები და ეთიკის სტანდარტები 8

მუხლი 12. დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი 11

მუხლი 13. სადისერტაციო საბჭო და დარგობრივი სადისერტაციო საბჭო 13

მუხლი 14. სადისერტაციო საბჭოს უფლებები და მოვალეობები 14

მუხლი 15. დისერტაციის დაცვისათვის წარდგენა 15

მუხლი 16. დისერტაციის ექსპერტები 16

მუხლი 17. დისერტაციის წინარე დაცვა 17

მუხლი 18. დისერტაციის ოპონენტები 17

მუხლი 19. დისერტაციის შეფასება ექსპერტებისა და ოპონენტების მიერ 18

მუხლი 20. დაცვის კომისია 19

მუხლი 21. დაცვისთვის მომზადება და დისერტაციის დაცვა 20

მუხლი 22. დისერტაციის შეფასება 21

მუხლი 23. აკადემიური ხარისხის მინიჭება 21

მუხლი 24. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი 22

მუხლი 25. ნაშრომის გაუქმება 22

მუხლი 26. კვლევითი კომპონენტის შეფასების შედეგების გასაჩივრება 22

მუხლი 27. დისერტაციის გამოქვეყნება 23

მუხლი 28. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები 23

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დებულება აწესრიგებს შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში“ (შემდგომში – „უნივერსიტეტში“) სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტში მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად;

1.2. „უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის “ტ" ქვეპუნქტის თანახმად, დოქტორანტურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით;

1.3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე ან/და არსებული ცოდნის განვითარებაზე, ცოდნის რეალიზებისა და გავრცელების ხელშეწყობაზე ორიგინალური, თანამედროვე და ინოვაციური კვლევების განხორციელებით;

1.4. დოქტორანტურის კურსდამთავრებულს აკადემიურ ხარისხს ანიჭებს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიეტეტის სადისერტაციო საბჭო. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმირება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად – მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

2.1. **უნივერსიტეტი** – სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ავტორიზებულია საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ან უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც აღიარებულია ამავე ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად;

2.2. **უსდ** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;

2.3. **სკოლა** – უნივერსიტეტის სტრუქტურაში არსებული ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული;

2.4. **ცენტრი** – ს.ს.ი.პ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;

2.5. **სადისერტაციო საბჭო** – სკოლაში არსებული სადისერტაციო საბჭო, რომელიც იქმნება წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით;

2.6. **დარგობრივი სადისერტაციო საბჭო** – საბჭო, რომელსაც საკუთარი შემადგენლობიდან ამტკიცებს სკოლის სადისერტაციო საბჭო წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით;

2.7. **კვლევის ეთიკის კომისია** – დოქტორანტის მიერ განხორციელებული კვლევის საქართველოს კანონმდებლობასთან, საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ პრინციპებთან შესაბამისობისა და ეთიკურობის განმსაზღვრელი კომისია;

2.8. **სამდივნო** – სადისერტაციო საბჭოს სამეცნიერო სამდივნო;

2.9. **დოქტორანტი** – პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში;

2.10. **დისერტაცია** – სამეცნიერო ნაშრომი, რომელსაც დოქტორანტი იცავს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

მუხლი 3. სადოქტორო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განვითარება

3.1. სადოქტორო პროგრამა მტკიცდება რექტორის ბრძანების საფუძველზე და ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი შიდანორმატიურლი დოკუმენტებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

3.2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს დოქტორანტებისთვის ისეთი კომპეტენციებისა და ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორებიცაა: კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, მონაცემთა ანალიზი, სწავლება (პედაგოგიური უნარები) და პოპულარულ სამეცნიერო ენაზე აზრის გადმოცემა;
3.3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი სფეროს არანაკლებ 5 აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის – არანაკლებ 3 პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი. უნივერსიტეტი პროგრამის განხორციელებისას, არსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს სამეცნიერო პერსონალის ჩართულობას;
3.4. სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, დოქტორანტის ხელმძღვანელს ბოლო 3 წლის განმავლობაში უსდ-ს მიერ განსაზღვრულ უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში – შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
3.5. სადოქტორო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები მოწესრიგებულია უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესით“.

მუხლი 4. სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა და ხანგრძლივობა
4.1. სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს - სასწავლო კომპონენტს (პროფესორის ასისტენტობა, კვლევითი უნარები, სემინარი და პროგრამით გათვალისწინებული სხვა კომპონენტი) და არანაკლებ 2 წლის მანძილზე განხორციელებულ კვლევით კომპონენტს (დისერტაციის მომზადება და მისი დაცვა, პროგრამით გათვალისწინებული სხვა კომპონენტი). ამასთან, სასწავლო კომპონენტისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა შესაძლებელია მოდიფიცირდეს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის, კომპეტენციების (რომლის გამომუშავებასაც მიზნად ისახავს კომპონენტი), ოდენობისა და იმ აუცილებელი პირობის გათვალისწინებით, რომ მისი ჯამური მოცულობა არ აღემატება 60 კრედიტს;
4.2. სტუდენტი, რომელმაც ვერ დაასრულა სადოქტორო სწავლება პროგრამით განსაზღვრულ ვადებში, უფლებამოსილია სწავლა/კვლევა გააგრძელოს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად.

მუხლი 5. სწავლების ენა
5.1. სადოქტორო პროგრამებზე სწავლების ენა არის ქართული, ხოლო ინგლისურენოვან პროგრამებზე – ინგლისური.

მუხლი 6. პროგრამის ხელმძღვანელი
6.1. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალი, რომელსაც გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა, გამოცდილება და სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში;
6.2. პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს წევრი და უშუალოდაა ჩართული სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში;

6.3. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის განხორციელებასა და განვითარებაზე. ამასთან, ვალდებულია ითანამშრომლოს სკოლასთან საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი წარმართვის მიზნით;
6.4. პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს დოქტორანტების ინფორმირება პროგრამის მოთხოვნების შესახებ და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს დოქტორანტის კვლევით საქმიანობას;
6.5. პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია წინამდებარე პროცესში იხელმძღვანელოს უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციითა და იმოქმედოს საქართველოს კანონდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების დაცვით.

მუხლი 7. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა და შედეგების გასაჩივრება

7.1. უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე ირიცხება პირი, რომელმაც მოიპოვა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ან მის მიერ უცხო ქვეყანაში მიღებული უმაღლესი განათლება აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და უთანაბრდება მაგისტრის აკადემიურ ხარისხს. წინამდებარე პუნქტი არ მოქმედებს იმ პირზე, რომელმაც მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი მოიპოვა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის 23 პუნქტით გათვალისწინებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის, კერძოდ კი 60 კრედიტიანი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის გავლის საფუძველზე;
7.2. უნივერსიტეტში დადგენილი პროცედურების შესაბამისად აპლიკანტმა განსაზღვრულ ვადებში უნდა წარმოადგინოს 7.3. პუნქტით მოთხოვნილი დოკუმენტაცია. წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის, მისაღები პირობებისა და ვადების თაობაზე ინფორმაციას აქვეყნებს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, ხოლო საერთაშორისო სტუდენტებისთვის დამატებით – საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი;
7.3. აპლიკანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციებია:
ა. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი და მისი ასლი;
ბ. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის დამოწმებული ასლი;
ბ[1]. უცხო ქვეყნის მიერ გაცემული დიპლომის შემთხვევაში, აუცილებელია წარმოდგენილ იქნას სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ აღიარებული და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

ბ[2]. კანდიდატის მიერ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პერიოდში არანაკლებ ხუთწლიანი პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული დიპლომის წარმოდგენის შემთხვევაში, კანდიდატმა ასევე უნდა წარმოადგინოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული აღიარების დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დიპლომის შესაბამის საფეხურთან გათანაბრება;

გ. 2 ფოტოსურათი ზომით 3X4 (ბეჭდური და ციფრული ვერსია CD-ზე);

დ. მიწერის მოწმობის ან სამხედრო ბილეთის ასლი (სამხედრო ვალდებულისათვის);
ე. შესაბამის სფეროში ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი; გარდა ამისა, განმცხადებელს შესაძლოა მოეთხოვოს შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული სხვა დამატებითი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენა;

ვ. ინგლისური ენის B2 ან პროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევებში C1 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის ასლი (არსებობის შემთხვევაში). ენობრივი კომპეტენციის შესახებ დეტალური ინფორმაცია წესრიგდება ამავე დებულების მე-8 მუხლის შესაბამისად;
ზ. სააპლიკაციო განაცხადი;
7.3.1. საერთაშორისო სტუდენტების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განისაზღვრება „საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვის წესის“ შესაბამისად;
7.3.2. ზემოჩამოთვლილი დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში აპლიკანტის განცხადება არ მიიღება;
7.4. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ აპლიკანტი გასაუბრებას გაივლის სადოქტორო პროგრამის მიმღებ კომისიასთან. აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს საკვლევი თემის პროექტი (არანაკლებ 1500 სიტყვა და არაუმეტეს 4500 სიტყვისა) მისი სამომავლო კვლევის სფეროში. საკვლევი თემის პროექტის შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე მიმღები კომისია აფასებს საკვლევი თემის პროექტს, ხოლო მეორე ეტაპზე იმართება ინტერვიუ, რომლის შედეგები ფორმდება ოქმის სახით;
7.5. მიმღები კომისია შედგება დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს არანაკლებ 3 წევრისგან, პროგრამის ხელმძღვანელის ჩათვლით. მიმღები კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს სადისერტაციო საბჭო, რის თაობაზეც დგება შესაბამისი ოქმი. მიმღები კომისიის დამტკიცების მიზნით შესაბამისი სკოლის დეკანი მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს და წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს ოქმს;
7.6. საკვლევი თემის პროექტი და ინტერვიუ ფასდება რუბრიკის (კრიტერიუმების) მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი სადოქტორო პროგრამით;
7.7. აპლიკანტის ჩარიცხვის შესახებ მიიღება გადაწყვეტილება, თუ კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობის საშუალო შეფასებით დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას (თუ პროგრამით სხვა მოთხოვნები არ არის გათვალისწინებული). თანაბარი საბოლოო ჯამური ქულის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ კანდიდატებს, რომელთაც აქვთ უფრო მაღალი შეფასება;
7.8. რექტორი გამოსცემს ბრძანებას პირის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ. დოქტორანტს და უნივერსიტეტს შორის იდება ხელშეკრულება, სადაც განისაზღვრება მათი უფლება-მოვალეობები;
7.9. დოქტორანტის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ბრძანება ძალაში შედის უნივერსიტეტთან ორმხრივი ხელშეკრულების დადების შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ რექტორის ბრძანებით განსაზღვრული დოქტორანტი უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადაში ვერ უზრუნველყოფს სადოქტორო სწავლების შესახებ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას, მაშინ უნივერსიტეტს უფლება აქვს შესაბამისი ბრძანება ან ბრძანების ნაწილი გამოაცხადოს ძალადაკარგულად;
7.10. საქართველოს ტერიტორიაზე არმყოფი კანდიდატებისთვის, სადოქტორო პროგრამაზე მისაღები გასაუბრება შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურ (ონლაინ) რეჟიმში;
7.11. აპლიკანტი უფლებამოსილია სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ მიმღები კომისიის უარყოფითი გადაწყვეტილება გაცნობიდან 3 კალენდარული დღის ვადაში გაასაჩივროს შესაბამისი სკოლის დეკანთან. გასაჩივრების პროცედურა საჯაროა და იგი უზრუნველყოფს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას;
7.12. აპლიკანტმა განცხადებაში უნდა მიუთითოს გასაჩივრების საფუძველი და წარმოადგინოს შესაბამისი წერილობითი არგუმენტაცია;

7.13. განცხადებით აპლიკანტი უფლებამოსილია მის მიერ მითითებული არგუმენტაციის ფარგლებში მოითხოვოს მიმღები კომისიის გადაწყვეტილების დასაბუთება;
7.14. მიმღები კომისიის გადაწყვეტილების დასაბუთების მოთხოვნის შემთხვევაში სკოლის დეკანი განცხადებას განსახილველად უგზავნის თავდაპირველ მიმღებ კომისიას;
7.15. მიმღები კომისია ვალდებულია აპლიკანტის განცხადება განიხილოს არაუმეტეს 3 სამუშაო დღის ვადაში;
7.16. განხილვის პროცესში კომისია ვალდებულია გაეცნოს აპლიკანტის მიერ წარმოდგენილ განცხადებას და განმცხადებლის მოთხოვნის შემთხვევაში მოამზადოს წერილობითი დასაბუთება მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე;
7.17. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი არ ეთანხმება მიმღები კომისიის წერილობით დასაბუთებას, იგი უფლებამოსილია წარმოდგენილი დასაბუთება გაასაჩივროს სააპელაციო მიმღებ კომისიაში, გადაწყვეტილების წერილობითი დასაბუთების ჩაბარებიდან გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში;
7.18. დასაბუთებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, სკოლის დეკანის წარდგინებითა და რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება სააპელაციო მიმღები კომისია, რომელიც შედგება სადისერტაციო საბჭოს სულ მცირე 3 წევრისა და არანაკლებ 1 დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს წევრისაგან. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. კომისიის წევრს განსახილველი საკითხის მიმართ არ უნდა ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი, მათ შორის იგი არ უნდა იყოს თავდაპირველი მიმღები კომისიის წევრი;
7.19. საჩივრის განხილვის ზოგადი წესები:
7.19.1. სააპელაციო მიმღებ კომისიას ეძლევა 3 სამუშაო დღე შეფასების განხორციელებისთვის;
7.19.2. შეფასების პროცესში სააპელაციო მიმღები კომისია ვალდებულია გაეცნოს აპლიკანტის განცხადებას და მიმღები კომისიის შეფასება/არგუმენტაციას. სააპელაციო მიმღებ კომისიას უფლება აქვს პირველადი გადაწყვეტილება დატოვოს ძალაში ან მიიღოს ახალი გადაწყვეტილება აპლიკანტის ჩარიცხვის შესახებ;
7.19.3. სააპელაციო მიმღები კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
7.19.4. სააპელაციო მიმღები კომისია გადაწყვეტილებას 2 სამუშაო დღის ვადაში აცნობს დაინტერესებულ მხარეებს;
7.20. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საკითხები წესრიგდება წინამდებარე დებულებით და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“. სტუდენტის მიერ პროგრამით განსაზღვრული ასათვისებელი და აღიარებული სასწავლო/კვლევითი კომპონენტ(ებ)ი განისაზღვრება დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მიერ, პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებისა და სტუდენტთან გასაუბრების საფუძველზე.

მუხლი 8. ინგლისური ენის გამოცდისაგან გათავისუფლების საფუძვლები

8.1. განმცხადებელი, რომელიც ფლობს საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრული შესაბამისი ინგლისური ენის დონის საერთაშორისო სერტიფიკატს, თავისუფლდება ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან. პროგრამის ენის დონის დადგენის მიზნით ჩატარებული გამოცდის დონე განისაზღვრება უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული „ენობრივი კომპეტენციის დონის“ დოკუმენტით;
8.2. განმცხადებელი თავისუფლდება წინამდებარე პუნქტით მოთხოვნილი დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულებისგან იმ შემთხვევაში, თუ აქვს ინგლისური ენის B2 ან C1

დონეზე ფლობის დამადასტურებელი 8.1. პუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო სერტიფიკატი ან/და დამთავრებული აქვს ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა (თუ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს განსხვავებულ მოთხოვნებს).

მუხლი 9. რეგისტრაცია პროგრამის კომპონენტებზე

9.1. დოქტორანტურის პროგრამის კომპონენტებზე რეგისტრაციის პროცესი განისაზღვრება წინამდებარე დებულებით და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კონკრეტული პროგრამა ითვალისწინებს განსხვავებულ რეგულაციებს;

9.2. ამ დებულების მიზნებისთვის, არჩევითი სასწავლო კურსის გახსნისთვის საჭიროა სულ მცირე 3 სტუდენტის განაცხადი. ამ წესიდან გამონაკლისი დაიშვება რექტორის გადაწყვეტილებით;

9.3. სადოქტორო პროგრამის გახსნისთვის საჭიროა სულ მცირე 5 სტუდენტის არსებობა. სტუდენტების ნაკლები რაოდენობის შემთხვევაში, სკოლის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, რექტორი იღებს გადაწყვეტილებას სადოქტორო პროგრამის გახსნის თაობაზე.

მუხლი 10. კომპონენტის შეფასება

10.1. შეფასება ხორციელდება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებში მიღებული შედეგების საფუძველზე. შეფასების კრიტერიუმები განსხვავდება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებისათვის;

10.2. შეფასების მეთოდი განისაზღვრება სილაბუსით, რომელიც სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია სემესტრის დასაწყისში;

10.3. კომპონენტის შეფასება ხორციელდება რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით: სასწავლო კომპონენტისათვის აღნიშნული ფორმებია შუალედური და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება ხორციელდება მთლიანობაში, ერთიანად, დასკვნითი შეფასების სახით. აღნიშნული მოიცავს განმავითარებელი შეფასების ეტაპს (ექსპერტების შეფასება და წინარე დაცვაზე წარდგენა) და დაცვაზე მიღებულ შეფასებას;

10.4. სასწავლო კომპონენტის შეფასებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი განისაზღვრება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად;

10.5. სადოქტორო პროგრამის სტუდენტის გამოცდების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები განსაზღვრულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა“ და „გამოცდების ჩატარების წესის“ თანახმად;

10.6. კვლევით კომპონენტზე გადასვლისას, სტუდენტი ვალდებულია გაიაროს სემესტრული რეგისტრაცია. ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტმა უნდა წარადგინოს პრეზენტაცია დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს წინაშე სემესტრის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული სამუშაოს შესახებ. სტუდენტი ვალდებულია, გაითვალისწინოს საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები მხედველობაში მიიღება წინარე დაცვის დროს.

მუხლი 11. კვლევით კომპონენტთან დაკავშირებული პროცედურები და ეთიკის სტანდარტები

11.1. საკვლევი თემის დამტკიცებისათვის:

11.1.1. დოქტორანტი ირჩევს დისერტაციის სათაურს და ამზადებს ინდივიდუალური კვლევის გეგმას მისი თემის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. ინდივიდუალური კვლევის გეგმა უნდა ასახავდეს კვლევის მიზნებს, სტრუქტურასა და კვლევის განხორციელების პოტენციური გრაფიკს;

11.1.2. სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდგომ, დოქტორანტი დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს წინაშე წარადგენს სავარაუდო სათაურსა და ინდივიდუალური კვლევის გეგმას;

11.1.3. თემის სათაურსა და კვლევის გეგმას განიხილავს და ამტკიცებს დარგობრივი სადისერტაციო საბჭო. სტუდენტი წარადგენს მოკლე პრეზენტაციას საბჭოს წინაშე. თუკი თემის სათაური ან/და ინდივიდუალური კვლევის გეგმა არ დამტკიცდება სადისერტაციო საბჭოს მიერ, დოქტორანტს ეძლევა შესაძლებლობა შეცვალოს თემის სათაური/ინდივიდუალური კვლევის გეგმა, რომელსაც განმეორებით წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს;

11.1.4. დარგობრივი საბჭოს მიერ დამტკიცებული საკვლევი თემის სათაური და კვლევის გეგმა კომპეტენციის ფარგლებში განსახილველად გადაეცემა კვლევის ეთიკის კომისიას;

11.1.4.1. აღნიშნული პირობა ვრცელდება უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების შემთხვევაშიც;

11.1.5. კომისია ადგენს კვლევის ეთიკურ ნორმებთან/სტანდარტებთან შესაბამისობას, თუ კვლევა აკმაყოფილებს ყველა შემდეგ კრიტერიუმს:

ა) კვლევა თანხვედრაშია უნივერსიტეტში არსებულ დარგებთან;

ბ) კვლევა არ ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ მიზნებს და პრინციპებს;

გ) კვლევა არ ლახავს ადამიანთა უფლებებსა და თავისუფლებებს;

დ) კვლევის არცერთი ნაწილი არ შეიცავს სხვათა ღირსებისა თუ რეპუტაციის შემლახავ ინფორმაციას;

ე) კვლევის ფარგლებში არ გამოიყენება იმგვარი მეთოდები, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს მესამე პირთა უფლებების დარღვევა ან/და შეცდომაში შეყვანა;

ვ) კვლევა არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და სამართლებრივ პრინციპებს;

ზ) კვლევა წარმოადგენს უშუალოდ მკვლევარის კვლევითი საქმიანობის შედეგს;

თ) კვლევა შეესაბამება კონკრეტულ დარგში კვლევის განხორციელების საყოველთაოდ აღიარებულ ეთიკის ნორმებსა და პრინციპებს.

11.1.6. წინამდებარე დებულება იზიარებს, ბრიტანეთის საგანმანათლებლო კვლევითი ასოციაციის (British Educational Research Association - BERA) მიერ შემუშავებულ კვლევის ეთიკურ პრინციპებს [1] და ქცევის კოდექსს,[2] ასევე იზიარებს ინტერნეტ მკვლევართა ასოციაციის (Association of Internet Researchers) მიერ შემუშავებული ინტერნეტ კვლევების ეთიკურ პრინციპებს.[3]

---

[1] British Educational Research Association [BERA]. (2024). *Ethical Guidelines for Educational Research* (5th ed.). www.bera.ac.uk/publication/ethical- guidelines-for-educational-research-2024

[2] British Educational Research Association [BERA]. (2023). *BERA handbook: Member code of conduct.* www.bera.ac.uk/wp-content/uploads/2023/10/Code-of-Conduct-2023.pdf

[3] Association of Internet Researchers. (2019). Internet Research: Ethical Guidelines *(*3.0.*)* https://aoir.org/reports/ethics3.pdf

11.1.7. წინამდებარე დებულება არ იზღუდება 11.1.6 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტებით და საჭიროების შემთხვევაში, ასევე იზიარებს კვლევის ეთიკის საკითხებთან დაკავშირებულ სხვა წყაროებს;

11.1.8. ეთიკის კომისიის წევრთა რაოდენობა უნდა იყოს კენტი და შედგებოდეს არანაკლებ 3 წევრისა და მის შემადგენლობაში შედიან:

ა) სკოლის დეკანი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) აკადემიური პერსონალ(ებ)ი;

გ) შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი;

დ) მოწვეული ექსპერტი (საჭიროებისამებრ).

11.1.9. ეთიკის კომისია თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, მხარეთა თანასწორობის პრინციპების საფუძველზე;

11.1.10. ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში მოიწვევა კომისიის სხდომა, რომელიც განიხილავს საკვლევი თემის სათაურისა და კვლევის გეგმის ეთიკურობას და ღია კენჭისყრით იღებს ორი სახის გადაწყვეტილებას:

ა) კვლევა შეესაბამება ეთიკური კვლევის ნორმებს / სტანდარტებს;

ბ) კვლევა შეესაბამება ეთიკური კვლევის ნორმებს/სტანდარტებს დათქმის შესრულების პირობით (პირობითი თანხმობა შესწორებებით), რაც მკვლევარს აძლევს კვლევის დაწყების უფლებას, მხოლოდ კვლევის გეგმაში ეთიკის კომისიის მიერ რეკომენდებული კონკრეტული ცვლილებების შეტანის წარდგენის შემდგომ;

გ) კვლევა არ შეესაბამება ეთიკური კვლევის ნორმებს/სტანდარტებს.

11.1.11. კომისიის შემადგენლობა წარმოდგენილია სათათბირო ხმის უფლებით; გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ წინადადებას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა;

11.1.12. კვლევის ეთიკის კომისიის საქმიანობა აისახება სხდომის ოქმებში;

11.1.13. თუ მკვლევარი არ ეთანხმება ეთიკის კომისიის დასკვნას, მას უფლება აქვს გადაწყვეტილების გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს დასკვნა შესაბამის სკოლის საბჭოში;

11.1.14. საჩივარი უნდა იყოს დასაბუთებული. საჩივარში წარმოდგენილი უნდა იყოს მისი განხილვისთვის საჭირო ყველა ფაქტობრივი გარემოება;

11.1.15. შესაბამისი სკოლის საბჭოს მიერ საჩივრის განხილვისას თავიდან უნდა იქნას აცილებული ინტერესთა კონფლიქტი. საკითხის განხილვაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ის პირი, რომელიც ამავდროულად ეთიკის კომისიის წევრია ან კომისიის წევრი იყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღების დროს;

11.1.16. საჩივრის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება საჩივრის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში საჩივრის ავტორის დასწრების გარეშე;

11.1.17. შესაბამისი სკოლის საბჭოს უფლება აქვს მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ, რაც გულისხმობს კვლევის ეთიკის კომისიის მიერ მიღებული დასკვნის შეცვლას ან/და სრულიად გაუქმებას;

ბ) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რაც გულისხმობს კვლევის ეთიკის კომისიის მიერ მიღებული დასკვნის უცვლელად დატოვებას;
11.1.18. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
11.1.19. კვლევის ეთიკის კომისიის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, საკვლევი თემის სათაური და კვლევის გეგმა გადაეცემა სადისერტაციო საბჭოს;
11.1.20. სადისერტაციო საბჭოს მიერ ხდება საკვლევი თემის დამტკიცება, რომელიც რეგისტრირდება სკოლის სადისერტაციო საბჭოს ოქმის შესაბამისად და ფორმდება ხელშეკრულება დისერტაციის ხელმძღვანელ(ებ)ს, სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის;
11.2. სადისერტაციო თემის სათაურისა და კვლევის გეგმის დამტკიცებასთან წინამდებარე მუხლის 11.1-11.4 პუნქტებით განსაზღვრული ყველა პროცედურა უნდა დასრულდეს შესაბამისი სემესტრის დასაწყისიდან 4 კვირის განმავლობაში. ამასთან, ამავე პუნქტით განსაზღვრულ პროცედურასთან დაკავშირებული ოქმები ინახება აკადემიური წერის ცენტრში;
11.3. კვლევითი კომპონენტის დაწყების შემდგომ, ყოველი სემესტრის დასასრულს სტუდენტისა და ხელმძღვანელის მიერ აკადემიური წერის ცენტრს უნდა წარედგინოს მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის ანგარიშის ფორმები, კერძოდ, „დისერტაციაზე მუშაობის პროცესის შეფასების ფორმა-ხელმძღვანელისთვის“ და „დისერტაციაზე მუშაობის პროცესის შეფასების ფორმა-სტუდენტისათვის“. სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობის შეფასების ფორმები ანალიზდება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ და წარედგინება სადისერტაციო დარგობრივ საბჭოს. სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია შეფასების ფორმების განხილვის საფუძველზე დააყენოს ნაშრომის ხელმძღვანელის ცვლილების საკითხი;
11.4. თუკი დოქტორანტი დარგობრივ სადისერტაციო საბჭოს მიმართავს განცხადებით სადისერტაციო თემის სათაურის შეცვლის შესახებ, ხელმძღვანელის დადებითი დასკვნის შემდეგ, დარგობრივი სადისერტაციო საბჭო, ცვლილების ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში განუსაზღვრავს დამატებით ვადას. საბჭოს მიერ განსაზღვრული დამატებითი ვადის მინიმალური ზღვრებია:
11.4.1. ტექნიკური ხასიათის ცვლილების შემთხვევაში – მინიმუმ 1 კვირა;
11.4.2. კონცეპტუალური ხასიათის ცვლილების შემთხვევაში – მინიმუმ 1 სემესტრი;
11.4.3. ამ პუნქტში აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს წევრთა 2/3 -ის მიერ;
11.5. თუ დოქტორანტს სტუდენტის სტატუსი შეჩერებული აქვს ორზე მეტი სემესტრის განმავლობაში, სტუდენტის მიერ სტატუსის აღდგენის შემდგომ, დარგობრივი სადისერტაციო საბჭო იმსჯელებს თემის სათაურისა და კვლევის გეგმის შესახებ და უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება მათი უცვლელად დატოვების ან ხელახლა დამტკიცების შესახებ.

მუხლი 12. დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი

12.1. დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი უნდა იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, უნივერსიტეტის ან სხვა უსდ-ის ასოცირებული პროფესორი ან პროფესორი, რომელსაც გააჩნია პროფესიული კავშირი ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/სახელოვნებო საზოგადოებასთან (მაგ: ერთობლივი კვლევები/გრანტები/ პროექტები, სამეცნიერო ასოციაციები/კავშირები/საგანმანათლებლო/სამეცნიერო დაწესებულებები);

12.2. პროგრამის მე-5-მე-6 სემესტრში ხელმძღვანელის მიერ უნივერსიტეტში/სხვა უსდ-ში აკადემიური თანამდებობის დატოვებისა და არც ერთ უსდ-ში აკადემიური პოზიციის დაკავების შემთხვევაში, იგი დარჩება თემის ხელმძღვანელად და მოწვეულ იქნება დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს წევრად;
12.3. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული თანაფარდობა ხელმძღვანელს/ თანახელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის არ უნდა აღემატებოდეს – 1:3-ს, ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში. ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის 1:5 თანაფარდობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტატუსშეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარსადგენი დისერტაციის/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო ნაშრომის წარდგენის მიზნით. აღნიშნული თანაფარდობა შესაძლებელია განსხვავებულად დადგინდეს სამეცნიერო გრანტის/პროექტის პირობებიდან გამომდინარე;
12.4. დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი:
12.4.1. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს აქვს შესაბამის სფეროში აკადემიური ხარისხი, გააჩნია ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება, ან გავლილი აქვს შესაბამისი აქტივობა (ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა), ასევე აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში – შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
12.4.2. დოქტორანტის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს მოეთხოვება ბოლო 3 წლის განმავლობაში უსდ-ს მიერ განსაზღვრულ უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული ჰქონდეს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში – შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბისობაში იქნება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკასთან/კვლევის სფეროსთან;
12.5. სტუდენტის ან დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მოთხოვნით, შესაძლებელია დისერტაციის თანახელმძღვანელად დაინიშნოს პირი, რომელსაც შესაბამის დარგში მინიჭებული აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი. თანახელმძღვანელი უნდა იყოს ადგილობრივი ან საერთაშორისო გამოცდილების მქონე სპეციალისტი, რომელიც ასევე ჩართულია დარგობრივ სამეცნიერო საქმიანობაში. თანახელმძღვანელი, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა დაინიშნოს არაუგვიანეს კვლევითი კომპონენტის ბოლო სემესტრის დასაწყისისა;
12.6. ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი კვლევის პროცესში დოქტორანტს უწევს კონსულტირებას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნება და სხვა;
12.7. თუკი დოქტორანტი მიმართავს აკადემიური წერის ცენტრს ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შეცვლის მოთხოვნით ან ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი აცხადებს უარს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე აღნიშნული საკითხი განსახილველად წარედგინება დარგობრივ სადისერტაციო საბჭოს;

12.8. კვლევითი კომპონენტის ბოლო სემესტრში ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შეცვლის შემთხვევაში, ახალ ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს ეძლევა 1 თვე ნაშრომის შესასწავლად. დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ახალი ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელს მოსაზრებებზე დაყრდნობით, სტუდენტს განესაზღვრება ვადა წინარე დაცვაზე დისერტაციის წარდგენისთვის. ამასთან, თუ ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელს შეცვლამ განაპირობა სტუდენტის მიერ თემის შეცვლა, დისერტაციის დაცვა განხორციელდება წინამდებარე დებულების მე-11 მუხლით განსაზღვრულ ვადებში;

12.9. დოქტორანტის მიერ ხელმძღვანელისათვის თემისა და ავტორეფერატის საბოლოო ვარიანტის ჩაბარების შემდეგ, ხელმძღვანელი წერს დასკვნას არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, რომლითაც, დარგობრივ სადისერტაციო საბჭოს წინაშე თემის წარდგენის მიზნით, ადასტურებს:

12.9.1. პუბლიკაციების შესაბამისობას დისერტაციასთან;

12.9.2. ავტორეფერატის შესაბამისობას დისერტაციასთან;

12.9.3. სტუდენტის მიერ დისერტაციაზე მუშაობის დასრულების ფაქტს (რაც გულისხმობს, რომ ნამუშევარს ახასიათებს სიახლე, სამეცნიერო/თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, მოიცავს ლიტერატურის მიმოხილვასა და კვლევით ნაწილს, შეესაბამება უნივერსიტეტის დისერტაციის ფორმატს და შესრულებულია სტილისტურად გამართული ენით).

მუხლი 13. სადისერტაციო საბჭო და დარგობრივი სადისერტაციო საბჭო

13.1. სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, სკოლის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან, რომელიც მტკიცდება მმართველი საბჭოს მიერ. სადისერტაციო საბჭოს წევრები შეიძლება იყვნენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, სხვა უსდ-ის ასოცირებული პროფესორები და/ან პროფესორები. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ სხვა უსდ-ში მათი აკადემიური პოზიციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და პუბლიკაციების სია;

13.2. სადისერტაციო საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან ამტკიცებს შესაბამის დარგობრივ სადისერტაციო საბჭოს, საბჭოს თავმჯდომარესა და მოადგილეს თითოეული სადოქტორო პროგრამისათვის ცალ-ცალკე. სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია დარგობრივ სადისერტაციო საბჭოში წევრის სტატუსით მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხი, პუბლიკაციები ან/და სულ მცირე ერთწლიანი პრაქტიკული გამოცდილება დარგში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში;

13.3. დარგობრივ სადისერტაციო საბჭოში უნდა იყოს შესაბამისი პროგრამის არანაკლებ 5 წარმომადგენელი. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი უნდა შეადგენდეს წევრთა ნახევარზე მეტს. პროფესორი/ასოცირებული პროფესორი შესაძლებელია ერთდროულად იყოს ორი დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს წევრი (მიუხედავად იმისა, ისინი ერთი სკოლის სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თუ არა);

13.4. ექსპერტების განსაზღვრისა და თემის დაცვის/წინარე დაცვის თარიღის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის, დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობიდან იქმნება დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს შემცირებული შემადგენლობა, რომელშიც შედიან დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელს, სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი/ თანახელმძღვანელს და საბჭოს მდივანი;

13.5. სკოლის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ირჩევა საბჭოს წევრების მიერ, ხმათა უმრავლესობით. დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ავტომატურად არის შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო სკოლის სადისერტაციო/დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მდივანი წარმოადგენს ადმინისტრაციულ პოზიციას და ინიშნება რექტორის მიერ. სკოლის სადისერტაციო საბჭოს მდივანი შესაძლებელია იმავდროულად იყოს დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მდივანი;
13.6. სკოლის სადისერტაციო საბჭო/დარგობრივი სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა. გადაწყვეტილების მისაღებად, საჭიროა დამსწრე წევრთა უმრავლესობის ხმა, გარდა წინამდებარე დებულების 11.4. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;
13.7. საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, მდივანი და ყველა დამსწრე წევრი;
13.8. საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია მოიწვიოს სხდომა. საბჭოს სხდომა შესაძლებელია ასევე მოწვეულ იქნეს წევრთა უმრავლესობის მოთხოვნის საფუძველზე. ამ შემთხვევაში თავმჯდომარემ უნდა დანიშნოს სხდომა;
13.9. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, სხდომას უძღვება თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 14. სადისერტაციო საბჭოს უფლებები და მოვალეობები
14.1. სტუდენტისთვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება ხორციელდება სკოლის სადისერტაციო საბჭოს მიერ, დაცვის კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე;
14.2. დარგობრივი სადისერტაციო საბჭო, ხოლო მის არარსებობის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭო:
14.2.1. დოქტორანტის პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, ქმნის მიმღებ კომისიას, განიხილავს წარდგენილი სადისერტაციო თემის მნიშვნელობას, მონაწილეობს დისერტაციის სათაურის ჩამოყალიბებაში, ამტკიცებს დისერტაციის სათაურს;
14.2.2. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით განიხილავს ხელმძღვანელის კანდიდატურას, აგრეთვე წყვეტს ხელმძღვანელობის შეწყვეტის საკითხს;
14.2.3. განიხილავს დოქტორანტის ინდივიდუალურ კვლევით გეგმას;
14.2.4. ამტკიცებს ოპონენტებს;
14.2.5. ამტკიცებს სადისერტაციო კომისიის წევრებს;
14.2.6. რექტორის წინაშე აყენებს დისერტაციის შეფასების კრიტერიუმების გადახედვის საკითხს.
14.3.დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს შემცირებული შემადგენლობა:
14.3.1. ამტკიცებს ექსპერტებს;
14.3.2. განსაზღვრავს თემის წინარე დაცვის/დაცვის თარიღს;
14.3.3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე:
14.3.4. უზრუნველყოფს საბჭოს საქმიანობის წარმართვას წინამდებარე დებულების შესაბამისად;
14.3.5. იწვევს და თავმჯდომარეობს საბჭოს სხდომებს;
14.3.6. უძღვება თემის დაცვის პროცედურას;
14.4. სადისერტაციო საბჭოს მდივანი:
14.4.1. ამზადებს და ინახავს სადისერტაციო საბჭოს ოქმებს;
14.4.2. იღებს და აარქივებს თემის დაცვისათვის საჭირო დოკუმენტებს წინამდებარე დებულების შესაბამისად. თუკი დოკუმენტები არასრულყოფილია, მდივანს უფლება აქვს უარი თქვას მათ მიღებაზე;

14.4.3. დოქტორანტს უწევს კონსულტაციას წარსადგენ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, როგორც დისერტაციის დაცვამდე, ისე დაცვის შემდეგ, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში, ელექტრონული ან/და მატერიალური ფორმით გადასცემს დისერტაციის, ავტორეფერატისა და პუბლიკაციის ასლებს ექსპერტებსა და ოპონენტებს;
14.4.4. წინასწარ აწვდის ინფორმაციას დოქტორანტებს შეფასების კრიტერიუმების შესახებ და უწევს რეკომენდაციებს დისერტაციის ტექნიკურ ფორმატთან დაკავშირებით;
14.4.5. ახდენს სადოქტორო პროგრამის სტუდენტისა და ექსპერტების ინფორმირებას წინარე დაცვის პროცედურების შესახებ.

მუხლი 15. დისერტაციის დაცვისათვის წარდგენა

15.1. დისერტაცია წარმოადგენს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, დოქტორანტის მიერ დაცულ სამეცნიერო ნაშრომს, რომელიც არის დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის შედეგი და ეფუძნება ახლად შემნილ ცოდნას, ემსახურება შესაბამისი დარგის განვითარებას. თუკი დოქტორანტი კვლევითი ჯგუფის წევრია, მისი წვლილი კვლევაში გამოყოფილი უნდა იყოს დისერტაციაში;
15.2. დისერტაცია იწერება პროგრამის სწავლების ენაზე. დოქტორანტმა აგრეთვე უნდა წარადგინოს დისერტაციის შემოკლებული ვარიანტი – ავტორეფერატი (15-20 გვერდი) ქართულ და ინგლისურ ენებზე;
15.3. დისერტაციის მოცულობა, ფორმატი და სტილი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
15.3.1. დისერტაციის გვერდების რაოდენობა უნდა იყოს სულ მცირე 110 და არაუმეტეს 200 (+/- 10%); დისერტაციის შესრულების მოთხოვნები დეტალურად აღწერილია „სამაგისტრო ნაშრომისა და დისერტაციის მომზადების გზამკვლევში“;
15.3.2. ფონტის ზომა – 12, სათაურების ზომა – 14;
15.3.3. ფონტი ინგლისური ტექსტებისათვის – Times New Roman, ქართული ტექსტისათვის – Sylfaen;
15.3.4. ხაზებს შორის ინტერვალი – 1,5 სმ;
15.3.5. მარცხენა მინდორი – 3 სმ;
15.3.6. მარჯვენა მინდორი – 1,5 სმ;
15.3.7. ზედა და ქვედა მინდვრები – 2,5 სმ.
15.4. სტუდენტი აკადემიური წერის ცენტრს წარუდგენს განცხადებას ნაშრომის დასრულებისა და დაცვაზე დაშვების შესახებ. სტუდენტი დისერტაციის ელექტრონულ ვერსიას აგზავნის აკადემიური წერის ცენტრის ოფიციალურ ელ-ფოსტაზე;
15.5. პლაგიატისა და ტექსტის დამთხვევის შემოწმების მიზნით, აკადემიური წერის ცენტრი დოქტორანტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელს და ექსპერტის (დარგის სპეციალისტი) ჩართულობით, პლაგიატის დამდგენი ანტიპლაგიარიზმის სპეციალური ელექტრონული პროგრამის (პროგრამა, რომელსაც უნივერსიტეტი იყენებს პლაგიატის გამოვლენისა და პრევენციის მიზნით) საშუალებით, ამოწმებს დოქტორანტის ნაშრომს;
15.6. ნაშრომში შესაბამისი დოკუმენტით დამოწმებული პირდაპირი ციტირების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი ნაშრომის 15%-ს; დაუმოწმებელი ტექსტის არსებობა ნაშრომში არ დაიშვება (0%); თუ შემოწმებისას გამოვლინდა 15%-ზე მეტი ტექსტის მსგავსების ფაქტი, აღნიშნული გარემოების აღმოჩენის შემთხვევაში, ნაშრომის ხელმძღვანელის ანგარიშის საფუძველზე სტუდენტმა 5 კალენდარულ დღეში უნდა აღმოფხვრას აღნიშნული ხარვეზი და გადაუგზავნოს აკადემიური წერის ცენტრს განახლებული ნაშრომი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტის მხრიდან აკადემიური

კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევისას, საკითხი დარეგულირდება უნივერსიტეტში მოქმედი „აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის“ შესაბამისად;
15.7. იმ შემთხვევაში, თუ დამთხვევის კოეფიციენტი აღემატება დადგენილ მაჩვენებელს, დოქტორანტს შესაძლებლობა ეძლევა შეასწოროს ნაშრომი; ერთი და იგივე ნაშრომისთვის ტექსტის დამთხვევის მაჩვენებლის შემოწმება ხდება ტექსტის დამთხვევის გამოვლენიდან არაუმეტეს ორჯერ;
15.8. პლაგიატის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, დოქტორანტი არ დაიშვება დაცვაზე (აღნიშნული საკითხი რეგულირდება „აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის“ დოკუმენტის შესაბამისად);
15.9. წინარე დაცვაზე დაშვების მიზნით, დოქტორანტი დარგობრივ სადისერტაციო საბჭოს მდივანს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტაციას:
15.9.1. განცხადება დისერტაციის დასრულების შესახებ;
15.9.2. შესაბამისი სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული პუბლიკაციები (პროგრამით გათვალისწინების შემთხვევაში);
15.9.3. სამეცნიერო ხელმძღვანელის დასტური დისერტაციასთან პუბლიკაციების შესაბამისობის შესახებ, აგრეთვე დოქტორანტის მიერ სამუშაოს დასრულებისა და დისერტაციის დასკვნითი შეფასებისათვის წარდგენის შესახებ;
15.9.4. დისერტაციის ელექტრონული ვერსია;
15.9.5. დოქტორანტის აქტიური სტატუსის დამადასტურებელი ცნობა.
15.10.წინარე დაცვაზე წარდგენის ეტაპზე, დოქტორანტს გაკეთებული უნდა ჰქონდეს სამი პრეზენტაცია, დებულების 10.6 პუნქტის შესაბამისად. ამასთან, კონკრეტული სადოქტორო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე დოქტორანტი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი სადოქტორო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
15.11. წინამდებარე მუხლის 15.9.2 პუნქტით განსაზღვრული პუბლიკაციები წარმოდგენილ უნდა იქნეს ასლის სახით (ჟურნალის სატიტულო ფურცელი, სარჩევი და სტატია). ამასთან, დასაბეჭდად მიღებული პუბლიკაციები მხედველობაში მიიღება მხოლოდ წინარე დაცვის დროს (პუბლიკაციის ტექსტი და დასაბეჭდად მიღების შესახებ დასტურის წერილი წარმოდგენილ უნდა იქნეს წინარე დაცვისათვის). ნაშრომების გამოქვეყნებამდე გადაწყვეტილება დაცვის დღის დანიშვნის შესახებ არ მიიღება;
15.12.დისერტაციის და სხვა დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში, დარგობრივი სადისერტაციო საბჭო ნიშნავს სულ მცირე 2 ექსპერტს. ექსპერტთა შერჩევისა და დანიშვნის პროცესში უზრუნველყოფილია მათი ანონიმურობა, რაც გულისხმობს, რომ ექსპერტთა დასკვნის წარმოდგენამდე დოქტორანტისათვის ან/და მისი ხელმძღვანელისათვის/თანახელმძღვანელისათვის მათი ვინაობა კონფიდენციალურია.

მუხლი 16. დისერტაციის ექსპერტები
16.1. დოქტორანტის მიერ დისერტაციის ჩაბარების შემდეგ, წინარე დაცვამდე, დისერტაცია ფასდება დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს შემცირებული შემადგენლობის მიერ, წინამდებარე დებულების 15.12 პუნქტით განსაზღვრული წესით, დანიშნული არანაკლებ ორი ექსპერტის მიერ;
16.2. ექსპერტები უნდა იყვნენ შესაბამისი/მონათესავე დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს წევრი. დოქტორანტის პუბლიკაციის თანაავტორი არ შეიძლება იყოს მისი ექსპერტი;
16.3. თუკი დისერტაციის თემა დარგთაშორისია, ერთ-ერთი ექსპერტი შეიძლება დაინიშნოს უნივერსიტეტის სხვა დარგობრივი სადისერტაციო საბჭოდან;

16.4. სადისერტაციო საბჭოს მდივანი დისერტაციის ასლს და პუბლიკაციებს ელექტრონული ან/და მატერიალური ფორმით წარუდგენს ექსპერტებს დარგობრივი საბჭოს გადაწყვეტილების მიღებიდან 1 კვირის ვადაში, მას შემდეგ რაც მოხდება ექსპერტების დამტკიცება;
16.5. ექსპერტებმა, სადისერტაციო საბჭოს სამდივნოში, უნდა წარადგინონ დასკვნა მათი ექსპერტად დანიშვნიდან 1 თვის განმავლობაში. დასკვნაში ყურადღება უნდა მიექცეს დისერტაციის ფორმატსა და სტილს, მათ შესაბამისობას ამ დებულებასთან; დოქტორანტი უფლებამოსილია გაითვალისწინოს ექსპერტის რეკომენდაციები და შენიშვნები;
16.6. ექსპერტის დასკვნა უნდა მოიცავდეს შეფასებას შემდეგ საკითხებზე:
16.6.1. სადისერტაციო თემის საჭიროებაზე, სიახლეზე, მის სამეცნიერო და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე;
16.6.2. სტრუქტურის თაობაზე (მოიცავს შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, მსჯელობისა და კვლევით ნაწილებს, მონაცემების სტატისტიკურ დამუშავებასა და დასკვნას);
16.6.3. ექსპერტის რეკომენდაცია (ტექნიკური გაუმჯობესების, მცირე შინაარსობრივი გაუმჯობესების, არსებითი გაუმჯობესების ან მოწონების/უარყოფის შესახებ).
16.7. შეფასებაში გათვალისწინებული უნდა იყოს წინამდებარე დებულების მე-19 მუხლით დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 17. დისერტაციის წინარე დაცვა
17.1. დისერტაციის წინარე დაცვა ხორციელდება ექსპერტების მიერ დისერტაციის შეფასების შემდეგ. წინარე დაცვის თარიღი ინიშნება დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მიერ და ეცნობება სტუდენტს;
17.2. წინარე დაცვას ესწრება დოქტორანტი, მისი ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, ექსპერტები, დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე/მოვალეობის შემსრულებელი და დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს სულ მცირე 1 წევრი;
17.3. ერთ სადისერტაციო თემაზე, წინარე დაცვა ტარდება მხოლოდ ერთხელ. სტუდენტი უფლებამოსილია გაითვალისწინოს ექსპერტებისა და წინარე დაცვაზე საბჭოს წევრების მიერ დაფიქსირებული რეკომენდაციები (განმავითარებელი შეფასება) დაცვაზე დისერტაციის წარდგენამდე.

მუხლი 18. დისერტაციის ოპონენტები
18.1. სტუდენტის მიერ დისერტაციის საბოლოო ვერსიის წარმოდგენის შემდგომ, დისერტაციის დაცვის მომდევნო ეტაპზე გადასვლის თაობაზე დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, დისერტაცია ფასდება 2 ადგილობრივი ან ერთი ადგილობრივი და ერთი საერთაშორისო ოპონენტის მიერ. საერთაშორისო ოპონენტის დასკვნა სავალდებულო არ არის, თუკი დოქტორანტს ჰყავს საერთაშორისო ხელმძღვანელი. ოპონენტებს უნდა ჰქონდეთ დოქტორის აკადემიური ხარისხი და მათი სამეცნიერო მოღვაწეობა და პუბლიკაციები უნდა შეესაბამებოდეს დისერტაციის თემას. ოპონენტად მოწვეულ უნდა იქნეს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/უცხო ქვეყნის უსდ-ს ემერიტუსი, პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი ან/და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მკვლევარი, რომელიც არ უნდა იყოს უნივერსიტეტის თანამშრომელი. ამასთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ოპონენტს ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი,

რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
18.2. ოპონენტების დანიშვნა ხორციელდება წინარე დაცვის შემდეგ. დანიშვნის პროცესში პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია წინამდებარე დებულების 18.1 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად შეარჩიოს ადგილობრივი და საერთაშორისო ოპონენტების კანდიდატურები, რომლებსაც წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით;
18.3. ოპონენტების შერჩევისა და დანიშვნის პროცესში უზრუნველყოფილია მათი ანონიმურობა, რაც გულისხმობს, რომ ოპონენტთა დასკვნის წარმოდგენამდე, რაც ხორციელდება დისერტაციის დაცვამდე, დოქტორანტისათვის ან/და მისი ხელმძღვანელისათვის/ თანახელმძღვანელისათვის შერჩეულ ოპონენტთა ვინაობა კონფიდენციალურია;
18.4. ოპონენტებმა დასკვნა უნდა წარადგინონ გასაცნობად მიღებიდან 1 თვის ვადაში. დასკვნაში ასახული უნდა იყოს შეფასება თემის საჭიროების, სიახლის, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობის თაობაზე. ოპონენტმა უნდა გამოხატოს მოსაზრება დოქტორანტისათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე. დასკვნაში გათვალისწინებული უნდა იყოს წინამდებარე დებულების მე-19 მუხლით დადგენილი მოთხოვნები;
18.5. დოქტორანტის პუბლიკაციების თანაავტორი ან იმ სამეცნიერო ჯგუფის წევრი, სადაც შესრულდა კვლევა, არ შეიძლება იყოს მისი ოპონენტი;
18.6. პირი, რომელიც თანამდებობრივად დამოკიდებულია დოქტორანტზე, ვერ იქნება მისი ოპონენტი;
18.7. ოპონენტები არ შეიძლება მუშაობდნენ ერთსა და იმავე ორგანიზაციაში;
18.8. სადისერტაციო საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის, რეზიუმესა და პუბლიკაციების ასლების ელექტრონული ან/და მატერიალური ფორმით, ოპონენტებისათვის გადაცემას, რაც განხორციელდება ოპონენტთა დანიშვნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;
18.9. სადისერტაციო საბჭოს მდივანი დისერტაციის დაცვის თარიღამდე არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე ოპონენტების დასკვნების ასლებს აწვდის დოქტორანტს;
18.10. ოპონენტი, რომელმაც გააკეთა უარყოფითი დასკვნა უნდა დაესწროს დაცვას;
18.11. თუკი ოპონენტი, რომლის დასკვნა უარყოფითია, ვერ გამოცხადდება დაცვაზე, დაცვა გადაიდება არაუმეტეს 1 თვის ვადით. ოპონენტის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მას დაუკავდება ანაზღაურების 30% და დაინიშნება ახალი ოპონენტი, წინამდებარე დებულებით განსაზღვრული პროცედურების თანახმად;
18.12. თუ ყველა დასკვნა დადებითია, სულ მცირე 1 ოპონენტი მაინც უნდა ესწრებოდეს დაცვას. თუ ვერცერთი ოპონენტი ვერ ესწრება დაცვას, დაცვა გადაიდება არაუმეტეს 1 თვის ვადით. აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დარგობრივი სადისერტაციო საბჭო, ხოლო ოპონენტებს ინფორმაციას მიაწოდებს სადისერტაციო საბჭოს მდივანი.

მუხლი 19. დისერტაციის შეფასება ექსპერტებისა და ოპონენტების მიერ

19.1. დადებითი შეფასების მიღებისათვის, სადოქტორო დისერტაცია უნდა ხასიათდებოდეს ორიგინალობით და იყოს დამოუკიდებელი მუშაობის შედეგი. იგი უნდა მოიცავდეს ლიტერატურის მიმოხილვას, მიზანშეწონილია საკითხის როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე პერიოდში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა, მსჯელობის ნაწილსა და კვლევას (გამოკითხვა, შემთხვევის ანალიზი, ექსპერიმენტი). განხორციელებული მკვლევარის ან დოქტორანტის მიერ ან დოქტორანტის მიერ

შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფა) შესაბამისი სტატისტიკური მონაცემებით. ყველა მნიშვნელოვანი ცნების (განსაკუთრებით ახლის) განმარტება უნდა იყოს წარმოდგენილი. დისერტაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მახასიათებლებს: სიახლე, აქტუალობა, სამეცნიერო/თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. ჰიპოთეზები, კითხვები და კვლევის დროს წამოჭრილი პრობლემები უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული. რეკომენდაციები და შეთავაზებული დასკვნები უნდა გამომდინარეობდეს დისერტაციაში არსებული ანალიზიდან;

19.2. დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ლოგიკურად, გამართული ენით, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით. ციტირების, დამოწმების ტექნიკა და ბეჭდვის ფორმატი დაცული უნდა იყოს;

19.3. დისერტაცია უნდა აკმაყოფილებდეს და უნდა შეესაბამებოდეს კვლევის ეთიკურ ნორმებს/სტანდარტებს (კვლევა ეთიკურ ნორმებს შეესაბამება თუ იგი არ ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ მიზნებს და პრინციპებს; არ ლახავს ადამიანთა უფლებებსა და თავისუფლებებს; კვლევის არცერთი ნაწილი არ შეიცავს სხვათა ღირსებისა თუ რეპუტაციის შემლახავ ინფორმაციას; კვლევის ფარგლებში არ გამოიყენება იმგვარი მეთოდები, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს მესამე პირთა უფლებების დარღვევა ან/ და შეცდომაში შეყვანა; კვლევა წარმოადგენს უშუალოდ სტუდენტის კვლევითი საქმიანობის შედეგს; კვლევა შეესაბამება კონკრეტულ დარგში კვლევის განხორციელების საყოველთაოდ აღიარებულ ეთიკის ნორმებსა და პრინციპებს;

19.4. პუბლიკაციები უნდა ასახავდეს დისერტაციის ძირითად მასალას;

19.5. სადოქტორო დისერტაციის შეფასების კრიტერიუმები/კომპონენტები შესაძლოა დამატებით განისაზღვროს შესაბამისი პროგრამით.

მუხლი 20. დაცვის კომისია

20.1. დაცვის კომისიის წევრების კანდიდატებს დარგობრივ სადისერტაციო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს პროგრამის ხელმძღვანელი;

20.2. დარგობრივი სადისერტაციო საბჭო ამტკიცებს დაცვის კომისიის წევრებს;

20.3. დაცვის კომისია შედგება სულ მცირე ხმის უფლების მქონე 7 წევრისაგან. ყველა ექსპერტი და ოპონენტი არის სადისერტაციო კომისიის წევრი. უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა უნდა შეადგინოს წევრთა ნახევარზე მეტი. ამასთან, დაცვის კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია მონაწილეობდეს არანაკლებ 1 გარე შემფასებელი;

20.4. სფეროს თავისებურების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში დაცვის კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდნენ შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის საერთაშორისო შემფასებელი/შემფასებლები, სამთავრობო/არასამთავრობო სექტორის ან/და შრომის ბაზრის წარმომადგენელ(ებ)ი;

20.5. დაცვის კომისია მისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს ხმათა უმრავლესობით, დაცვის პროცესის დაწყებამდე;

20.6. სადისერტაციო საბჭოს მდივანი იმავდროულად არის დაცვის კომისიის მდივანი, ხმის უფლების გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მისი კვალიფიკაცია შეესაბამება დაცვის კომისიას;

20.7. დარგობრივი სადისერტაციო საბჭო წყვეტს დაცვის თარიღს და ატყობინებს სტუდენტს აღნიშნულის შესახებ. ინფორმაცია დაცვის შესახებ განთავსებულ უნდა იქნეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე მას შემდეგ, რაც ოპონენტები წარადგენენ თავიანთ დასკვნას დისერტაციის თაობაზე, მაგრამ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა დაცვამდე;

20.8. დოქტორანტის თემის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი არ არის დაცვის კომისიის წევრი, მაგრამ იგი ესწრება დაცვას;
20.9. თემის დაცვამდე სულ მცირე 10 სამუშაო დღით ადრე დაცვის კომისიის წევრებს მიეწოდებათ დისერტაციისა და ავტორეფერატის ელექტრონული ვერსია;
20.10. დაცვის კომისია გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა 2/3, მაგრამ არანაკლებ 5 წევრისა;

მუხლი 21. დაცვისთვის მომზადება და დისერტაციის დაცვა
21.1. დაცვის თარიღი ინიშნება დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მიერ წინამდებარე დებულების 20.7 პუნქტით განსაზღვრული წესით;
21.2. დისერტაციის შეფასება უნდა მოხდეს მისი დაცვისთვის წარდგენიდან არაუგვიანეს მომდევნო სემესტრის ბოლომდე;
21.3. საბჭოს მდივანი ვალდებულია დოქტორანტს წერილობით შეატყობინოს მისი დაცვის თარიღი და გადასცეს მას ოპონენტების დასკვნა დაცვამდე სულ მცირე 10 სამუშაო დღით ადრე;
21.4. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობას წარმოადგენს განმავითარებელი შეფასების ეტაპების გავლა და დაცვის კომისიის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო, არანაკლებ 51 ქულისა;
21.5. სტუდენტის 41-50 ქულით შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა საშუალება გააუმჯობესოს სადისერტაციო ნაშრომი და წარადგინოს დასკვნითი შეფასებისათვის 1 წლის განმავლობაში (არანაკლებ 1 სემესტრის შემდეგ). გაუმჯობესებული ნაშრომი უნდა ეხებოდეს იმავე თემას;
21.6. კომისიის მიერ სტუდენტის 41-ზე ნაკლები ქულით შეფასების შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას;
21.7. კომისიის მიერ ნაშრომის შეფასების მიზნებისათვის, ფრიადი ნიშნავს შეფასების 91-100 ქულას, ძალიან კარგი – შეფასების 81-90 ქულას, კარგი – შეფასების 71-80 ქულას, საშუალო – შეფასების 61-70 ქულას, დამაკმაყოფილებელი – 51-60 ქულას, არადამაკმაყოფილებელი – შეფასების 41-50 ქულა, სრულიად არადამაკმაყოფილებელი – შეფასების 40 ქულა და ნაკლები;
21.8. დოქტორანტთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ინახება სადისერტაციო საბჭოს არქივში. დოქტორანტს აქვს უფლება გაეცნოს მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტაციას;
21.9. თემის დაცვა საჯაროა და იმართება პროგრამის სწავლების ენაზე. დაცვის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე დაცვამდე სულ მცირე 10 სამუშაო დღით ადრე. ინფორმაცია ასევე უნდა მოიცავდეს დაცვისთვის წარდგენილ ავტორეფერატს.
21.10. დაცვის პროცედურა მოიცავს:
21.10.1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დისერტაციის დაცვის პროცესის სრულ აუდიო/ვიდეო ჩაწერას;
21.10.2.დოქტორანტის პრეზენტაციას (30-50 წუთი, რომელიც ასევე მოიცავს განმავითარებელი შეფასების რეკომენდაციების გათვალისწინება/არ გათვალისწინების შესახებ ინფორმაციას და არგუმენტაციას;
21.10.3. განმავითარებელი შეფასების ეტაპზე მიღებული შეფასებებისა და ოპონენტების დასკვნის საჯარო გაცნობას;
21.10.4. დოქტორანტის პასუხებს დასკვნაში მითითებულ კითხვებზე;
21.10.5. სამეცნიერო დისკუსიას;
21.10.6. ხელმძღვანელის სიტყვას;

21.10.7. დამსწრეთა მოსაზრებებს;
21.10.8. დისერტაციის შეფასების დახურულ სესიას;
21.10.9. დისერტაციის შეფასების შედეგების საჯარო გამოცხადებას;
21.10.10 დოქტორანტის შემაჯამებელ სიტყვას;
21.11. თითო სესია მოიცავს მხოლოდ ერთი დისერტაციის დაცვას;
21.12. თუკი დაცვა ვერ ჩატარდება დაგეგმილ დროს საპატიო მიზეზის გამო, სტუდენტის ან/და დაცვის კომისიის წევრების მოთხოვნით, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, შეიძლება გადაიდოს არანაკლებ ორი კვირით, მაგრამ არაუმეტეს 1 თვის ვადით. აღნიშნულის შესახებ შესაბამისი განცხადება გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მუხლი 22. დისერტაციის შეფასება

22.1. დისერტაციის შეფასება ხდება წინამდებარე დებულებით, ასევე შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე.
22.2. დაცვა ფასდება კომისიის მიერ დახურულ სხდომაზე. დისერტაციისა და მისი შეფასებების (მათ შორის განმავითარებელი შეფასების ეტაპზე მიღებული შეფასების) საფუძველზე საბჭოს წევრების მიერ ხორციელდება შეფასება ანონიმურად „სადოქტორო დისერტაციის შეფასების კრიტერიუმებით“. საბჭოს წევრების შეფასების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე კომისია გადაწყვეტს საბოლოო შეფასებას “საჯარო დაცვის ოქმით“;
22.3. შეფასება ორი სახისაა: „დაიცვა“ ან „ვერ დაიცვა“.
22.4. სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი სისტემა:
22.4.1. თუკი სტუდენტი მიიღებს შეფასებას:
22.4.1.1. **ფრიადი** (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
22.4.1.2. **ძალიან კარგი** (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
22.4.1.3. **კარგი** (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
22.4.1.4. **საშუალო** (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
22.4.1.5. **დამაკმაყოფილებელი** (rite) – შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – მას მიენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი;
22.4.2. თუკი სტუდენტი მიიღებს შეფასებას– **არადამაკმაყოფილებელი (insufficient)** – **არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მასში წაყენებულ მოთხოვნებს** – მას აქვს უფლება გააუმჯობესოს და წარადგინოს ნაშრომი ხელახალ დაცვაზე 1 წლის განმავლობაში.
22.4.3. თუკი სტუდენტი მიიღებს შეფასებას – **სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone), შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს** – მას არ აქვს ამავე დისერტაციის ხელახალი დაცვის უფლება.
22.5. შედეგებს აცხადებს კომისიის თავმჯდომარე.

მუხლი 23. აკადემიური ხარისხის მინიჭება

23.1. დოქტორანტს დისერტაციის დაცვისა და პროგრამით განსაზღვრული ყველა კომპონენტის შესრულების შემდეგ მიენიჭება დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხი. ხარისხის მინიჭებას ახორციელებს სკოლის სადისერტაციო საბჭო, დაცვის კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე;

23.2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმირება ხდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ დადგენილი კვალიფიკაციის ფორმირების წესის შესაბამისად – მიმართულებების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.

მუხლი 24. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი

24.1. რექტორის მიერ დოქტორანტის კურსდამთავრებულად ცნობის შესახებ ბრძანების გამოცემის შემდეგ, დიპლომის დაბეჭდვამდე, დოქტორანტის მოთხოვნის შემთხვევაში, სტუდენტთა მომსახურებისა და რეესტრის სამსახურის მიერ გაიცემა ცნობა დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მუხლი 25. ნაშრომის გაუქმება

25.1. დოქტორის აკადემიური ხარისხი შეიძლება არ მიენიჭოს ან გაუქმდეს უკვე მინიჭებული ხარისხი, ასევე დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი შეიძლება არ გაიცეს ან გაუქმდეს უკვე გაცემული დიპლომი, თუკი დადგინდება გაყალბებული კვლევის მონაცემების წარდგენის ან აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფაქტი (პლაგიატი). გადაწყვეტილება დოქტორის აკადემიური ხარისხისა და დიპლომის გაუქმების შესახებ მიიღება სკოლის სადისერტაციო საბჭოს მიერ;

25.2. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (სკოლის-სტრუქტურული ერთეული) არარსებობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სპეციალურად შექმნილი კომისია.

მუხლი 26. კვლევითი კომპონენტის შეფასების შედეგების გასაჩივრება

26.1. სტუდენტი უფლებამოსილია კვლევითი კომპონენტის შეფასება შედეგის გაცნობიდან 4 კალენდარული დღის ვადაში გაასაჩივროს შესაბამისი სკოლისათვის განცხადებით „გამოცდის შედეგების გასაჩივრების ფორმით“ მიმართვის გზით. გასაჩივრების პროცედურა საჯაროა და იგი უზრუნველყოფს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას;

26.2. სტუდენტმა განცხადებაში უნდა მიუთითოს კონკრეტული დასაბუთება/გარემოებები და წარმოადგინოს შესაბამისი არგუმენტაცია;

26.3. განცხადებით სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს:

26.3.1. დაცვის რეგლამენტის გადახედვა ხელახალი შეფასების გარეშე;

26.3.2 კვლევითი კომპონენტის ხელახალი შეფასება.

26.4. საჩივრის განხილვის წესი დაცვის რეგლამენტის გადახედვის მოთხოვნის შემთხვევაში:

26.4.1. დაცვის რეგლამენტის გადახედვის მოთხოვნის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია სტუდენტის საჩივარში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, მიიღოს გადაწყვეტილება დაცვის რეგლამენტის გადახედვა მოხდეს შემფასებლის ან 27.5 პუნქტის მიხედვით შექმნილი სააპელაციო კომისიის მიერ;

26.4.2. სააპელაციო კომისიის მიერ ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, კომპონენტი უბრუნდება სადისერტაციო საბჭოს დასკვნასთან ერთად;

26.4.3. სადისერტაციო საბჭო სააპელაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე უფლებამოსილია იმსჯელოს კვლევითი კომპონენტის ხელახალი შეფასების, შეფასების უცვლელად დატოვების, ან დაცვის ხელმეორედ ჩატარების შესახებ;

26.4.4. კომპონენტის ხელახალი შეფასების მოთხოვნის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭო ქმნის სააპელაციო კომისიას, რომელიც შედგება სულ მცირე 3 წევრისაგან. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. კომისიის წევრი არ უნდა იყოს ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, რეცენზენტი, ოპონენტი, ან თავდაპირველი დაცვის კომისიის წევრი.

26.5. საჩივრის განხილვის ზოგადი წესები:
26.5.1. კომისიას ეძლევა 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღე შეფასების განხორციელებისათვის;
26.5.2. შეფასების პროცესში კომისია ვალდებულია გაეცნოს პირველადი შეფასების დასაბუთებას, ასევე საჭიროების შემთხვევაში მოისმინოს დაცვის კომისიის არგუმენტაცია. კომისიას უფლება აქვს შეფასება დატოვოს ძალაში ან დააყენოს შეფასების გადახედვის საჭიროების შუამდგომლობა;
26.5.3. შეფასების გადახედვის საჭიროების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო განიხილავს კომისიის შუამდგომლობას და მისი გაზიარების შემთხვევაში ინიშნება ხელახალი დაცვა. დაცვაზე შესაძლოა იგივე დარჩეს, შემცირდეს ან გაიზარდოს შეფასება. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. შუამდგომლობის არგაზიარების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო წარმოადგენს არგუმენტაციას;
26.5.4. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებას 2 სამუშაო დღის ვადაში აცნობს დაინტერესებულ მხარეებს.

მუხლი 27. დისერტაციის გამოქვეყნება
27.1. დოქტორანტი ვალდებულია, დისერტაციის დაცვის შემდეგ, 6 თვემდე ვადაში გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით;
27.2. დისერტაციის ერთი ბეჭდური ან ელექტრონული ეგზემპლარი უნდა გადაეცეს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას;
27.3. დისერტაცია ელექტრონული ფორმით უნდა გამოქვეყნდეს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ვებგვერდზე.

მუხლი 28. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები
28.1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებები განსაზღვრულია „საგანმანათლებლო მომსახურების საფასურის გადახდის წესით“;
28.2. საკითხები, რომლებიც არ არის აღნიშნული წინამდებარე დებულებაში, წესრიგდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ და უნივერსიტეტის სხვა ნორმატიული დოკუმენტაციით;
28.3. წინამდებარე დებულებით დადგენილი წესები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი პროგრამით განსაზღვრულია საკითხის სპეციალური მოწესრიგება;
28.4. წინამდებარე დებულებას განუყოფელი ნაწილის სახით დაერთვის 13 დანართი (კერძოდ, პლაგიატის ანგარიში; საკვლევი თემის/ინტერვიუს/პრეზენტაციის შეფასების ფორმა; განაცხადის ფორმა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისთვის; სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ექსპერტებისთვის; სადოქტორო დისერტაციის შეფასების კრიტერიუმები; სადისერტაციო თემის პროექტი/ინტერვიუ; საჯარო დაცვის ოქმი; დისერტაციაზე მუშაობის პროცესის შეფასების ფორმა სტუდენტისთვის; დისერტაციაზე მუშაობის პროცესის შეფასების ფორმა ხელმძღვანელისათვის/თანახელმძღვანელისათვის), რომელთა დანიშნულებასაც წარმოადგენს დებულებით გათვალისწინებული შეფასებების მოწესრიგება და კრიტერიუმების განსაზღვრა. თუმცა, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, სკოლების მხრიდან შესაძლებელია შემუშავდეს როგორც მისაღები გამოცდის, ასევე დისერტაციის შეფასების განსხვავებული კრიტერიუმები/კომპონენტები;
28.5. წინამდებარე დებულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მისი მიღებისათვის დადგენილი გზით;

28.6. წინამდებარე დებულებაში შესული ცვლილებები არ გავრცელდეს 2024 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით კანონდებლობით დადგენილი წესით სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებზე;
28.7. წინამდებარე დებულება ძალაში შედის რექტორის ბრძანებით;
28.8. წინამდებარე დებულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს პრორექტორი კვლევით დარგში და პრორექტორი სასწავლო დარგში.